ასერტიულობა - Assertiveness - Ассертивность

(ლათ. assertion *საჯარო, ფორმალური დეკლარირება* →
ინგ. assert *საჯაროდ განცხადება, დამტკიცება, საკუთარ უფლებათა დაცვა)*

ადამიანის უნარიანობა თავდაჯერებულად და ღირსეულად დაიცვას საკუთარი უფლებები, ამასათან ისე, რომ არ შელახოს სხვა ადამიანის უფლებები; შეუპოვრობა, თავდაჯერებულობა, თვითდამკვიდრება. ასერტიული ქცევა პირდაპირი და ღია, მაგრამ არა**აგრესიული** ქცევაა. ბავშვის **ა**-ის ნაკლებობა ხშირად ამ ბავშვს დაჩმორების, **ბულინგის** მსხვერპლად აქცევს. მსგავსი რამ ზრდასრულთა შორისაც ხდება, ოღონდ. შესაძლოა, მეტ-ნაკლებად ფარულად. შემუშავებულია მრავალფეროვანი სპეციალური სოციალურ-ფსიქოლოგიური **ტრენინგპროგრამები** **ა**-ის განსავითარებლად – რათა გაუბედავმა, თვითდაურწმუნებელმა, მერყევმა ადამიანმა დაისწავლოს საკუთარი აზრებისა და გრძნობების გამოხატვა, სიმტკიცე, მედგარი თავდაცვა, გაბედული მაგრამ არააგრესიული ურთიერთობა (არ უნდა შეილახოს პატიოსნება და მეგობრული გრძნობები).